

შეტყობინება მესამე

იორდანეს მდინარის გადალახვა და მომზადება ბრძოლისათვის

ადგილები წერილიდან: იესო ნ. 3:1-4:24; 5:1-10

I. იესო ნ. 3:1-4:24-ში მოთხრობილია ისრაელის ხალხის გადასვლის შესახებ მდინარე იორდანეზე:

- ა. როდესაც ისრაელის ხალხმა დაინახა აღთქმის კიდობანი თავისი ღმერთისა და მღვდლები-ლევიალები, რომლებსაც მიჰქონდათ კიდობანი, მათ დატოვეს თავიანთი ადგილი და გაჰყენენ მას – 3:3, 6:
 1. კიდობანი იყო წინასახე ქრისტესი როგორც სამერთიანი ღმერთის განსხვავებისა – გამ. 25:10-22.
 2. როდესაც ისრაელის შვილებთან ერთად მიდიოდა ღმერთის კიდობანი, მასთან ერთად მიდიოდა სამერთიანი ღმერთი, რომელიც მიუძღვოდა მათ წინ და აქედან გამომდინარე, ის პირველი შევიდა წყალში – იესო ნ. 3:8, 11.
 3. ის, რომ კიდობანი იყო მღვდლების მხრებზე, მიუთითებს იმაზე, რომ წინასახის თანახმად მღვდლები, რომლებიც ატარებდნენ კიდობანს, გახდნენ ერთი მთლიანი სამერთიანი ღმერთთან – მუხ. 3:
 - ა) ისინი ღმერთთან ერთად იყვნენ ერთი ერთობლივი პიროვნება – ერთობლივი ღმერთკაცი.
 - ბ) ღმერთი დადიოდა მათ სვლაში, და ისინი დადიოდნენ ღმერთის სვლაში.
- ბ. მდინარე იორდანე არის წინასახე ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის – საქმე. 2:23-24; 3:15:
 1. უფლის აღთქმის კიდობანმა გადალახა იორდანე ხალხის წინაშე – იესო ნ. 3:11.
 2. ის, რომ კიდობანი შევიდა იორდანეში და გამოვიდა იქიდან, მიუთითებს ქრისტეს სიკვდილსა და აღდგომაზე – მუხ. 15; 4:11.
- გ. ის, რომ ისრაელმა გადალახა მდინარე იორდანე, არის წინასახე არა მორწმუნეების ფიზიკური სიკვდილისა, არამედ მათ მიერ ქრისტეს სიკვდილის განცდისა, რომელშიც ძველ კაცს ბოლო მოეღო და იყო დამარხული – რომ. 6:3-6; გალ. 2:20:
 1. წინასახეების სისტემის თანახმად, მდინარე იორდანე აღნიშნავს ქრისტეს სიკვდილს, რომელშიც მოინათლნენ მორწმუნეები – რომ. 6:3-4.
 2. ისრაელის შვილებმა გაიარეს ქრისტეს სიკვდილში, რათა დაემარხათ თავისი ძველი კაცი და გამხდარიყვნენ ახალი კაცი ქრისტეში – 2 კორ. 5:17:
 - ა) ისინი მზად იყვნენ, რომ შესულიყვნენ კეთილ მიწაზე, დაეკავებინათ ის, როგორც თავისი საკუთრება და დაეწყოთ ომი ქანანეელებთან, მაგრამ თავის ძველ კაცში მათ არ შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება.

- ბ) წინასახეების თანახმად ისინი იყვნენ დამარხულნი ქრისტეს სიკვდილში და შემდეგ აღდგნენ ქრისტეს აღდგომაში, გახდნენ ახალი კაცი ქრისტეში სულიერ ომში საბრძოლველად – ეფეს. 6:10-20.
 - გ) ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენი ძველი კაცი, ჩვენი ბუნებრივი კაცი, არ არის გამოსადეგი ბრძოლისათვის სულიერ ომში იმ მიზნით, რომ მოიპოვონ ქრისტე; ქრისტეში ჩვენ უკვე აღარ ვართ ძველი კაცი, არამედ ახალი კაცი – 4:22-24.
3. მორწმუნეების ნათლობას ქრისტეს სიკვდილში, როგორც მდინარე იორდანეს გადასვლას, მიჰყავს მორწმუნეები ქრისტეს აღდგომაში – რომ. 6:3-6; კოლ. 2:12:
- ა) დამარხვის ასპექტში, ნათლობა ბოლოს უდებს ჩვენს ძველ კაცს.
 - ბ) აღდგომის ასპექტში ნათლობა ბადებს ჩვენს სულს, რათა ჩვენ გავცოცხლდეთ ქრისტეში ღვთაებრივი სიცოცხლით – იოანე 3:6, 15; რომ. 8:10.
 - გ) აღდგომის სფეროში ჩვენ ვტკბებით ქრისტეთი, როგორც ყოველისმომცველი კეთილი მიწით, რომელშიც ჩვენ დავდივართ და, უფრო მეტიც, ფესვსვიდგამთ და ვშენდებით ღმერთის სახლმშენებლობის განხორციელებისათვის – 6:4; კოლ. 2:7.
- დ. ის, რომ ისრაელმა გადალახა იორდანე და შევიდა კეთილ მიწაზე, დაკავშირებულია მათ მიერ კეთილი მიწის დაუფლებასთან და მისით ტკბობასთან; ეს არის იმის წინასახე, რომ მორწმუნეები პრაქტიკულად განიცდიან ქრისტეში კურთხევის სიმდიდრეს, როგორც გახსნილია ეფესელთა მიმართ წერილში – იესო ნ. 4:1.
- ე. ის, რომ ისრაელი, მას შემდეგ, რაც გადავიდა იორდანეს, შევიდა კეთილ მიწაზე, არის წინასახე იმისა, რომ მორწმუნეები თავიანთ განცდებში იკავებენ ზეციურ საზღვრებს, სადაც არიან სატანა და მისი სიბნელის ძალები – ეფეს. 2:2; 6:12.

II. იორდანედან იყო აღებული ორმოცი ქვა, ხოლო სხვა თორმეტი ქვა იყო დადგმული იორდანეში – იესო ნ. 4:3-9:

- ა. თორმეტი ქვა, აღებული იორდანედან, აღნიშნავს თორმეტ მუხლს ახალი იერუსალიმისა – 3-7.
- ბ. ის, რომ ქვები იყო აღებული იორდანეს წყლებიდან, აღნიშნავს სიკვდილიდან აღდგომას – მუხ. 7:
 - 1. ეს თორმეტი ქვა იყო ნიშანი, რომელიც გვიჩვენებდა, რომ „აღმდგარი“ ახალი იერუსალიმი გახდება სიკვდილის წყლების გადასვლის მოწმობა – მუხ. 6-7, 21-24.
 - 2. ეს არის წინასახე იმისა, რომ მორწმუნეები ქრისტესთან ერთად განიცდიან სიკვდილიდან აღდგომას – რომ. 6:3-4.
- გ. სხვა თორმეტი ქვა, დადგმული იორდანეს შუაში, აღნიშნავს ისრაელის თორმეტ მუხლს მათ ძველ ცხოვრებაში და მათ ძველ ბუნებაში – იესო ნ. 4:9:

1. იესომ დადგა ეს თორმეტი ქვა იორდანეს შუაში, იქ, სადაც იყო კიდობანი; ეს აღნიშნავს, რომ უფალს უნდოდა, რომ ისრაელი თავის ძველ ბუნებაში დარჩა სიკვდილის წყლების, იორდანეს წყლების ქვეშ.
 2. ეს არის წინასახე იმის, რომ ძველი კაცი მორწმუნეებისა უნდა დარჩეს ქრისტეს სიკვდილში – რომ. 6:6; გალ. 2:20; ფილიპ. 3:10.
- დ. ორი ჯგუფი თორმეტი-თორმეტი ქვის აღნიშნავს, რომ ჩვენი ძველი კაცი დამარხულია, ხოლო ჩვენი აღმდგარი ახალი კაცი ცხოვრობს და მუშაობს სამერთიან ღმერთთან ერთად როგორც ერთი; ეს შეესაბამება გამოცხადებას ეფეს. 2:1, 4-6, 15 და 10-ში.

III. მღვდლები, რომლებსაც მიჰქონდათ მოწმობის კიდობანი, მყარად იდგნენ მშრალ მიწაზე – მდინარე იორდანეს ძირზე, სანამ მთელი ხალხი არ გადავიდა მთლიანად იორდანეზე – იესო ნ. 3:8, 13-15, 17; 4:10-11, 15-18:

- ა. მღვდლები, რომლებსაც მიჰქონდათ კიდობანი, პირველები შევიდნენ წყალში და უკანასკნელნი გამოვიდნენ წყლიდან; ისინი ელოდებოდნენ მდინარის ფსკერზე, სანამ არ გადავიდა მთელი ხალხი – 3:17; 4:15-16.
- ბ. ღმერთმა მოათავსა მღვდლები სიკვდილის ადგილას, რათა ისრაელიანებს ჰქონოდათ გზა სიცოცხლის მიწაზე შესასვლელად – მუხ. 10:
 1. მდინარის ფსკერი წარმოადგენს სიკვდილის მდგომარეობას; ის არ არის რაღაც მოსაწონი ან მიმზიდველი.
 2. მოწმობის კიდობნის ტარება მდინარის ფსკერზე – არის უდიდესი ტანჯვა.
 3. უფალი ეძებს ჯგუფს ადამიანებისა, რომლებიც, მსგავსად მღვდლებისა იესო ნავეს ძის წიგნის მე-3 და მე-4 თავებში, პირველები შევლენ ქრისტეს წყალში, ანუ შევლენ სიკვდილში – 3:8, 17:
 - ა) ისინი მზად არიან, პირველები დაექვემდებარონ ჯვრის სამუშაოს, იდგნენ ერთად სიკვდილში იმისათვის, რომ ეკლესიამ იპოვოს სიცოცხლის გზა – 2 კორ. 4:10-12.
 - ბ) ღმერთმა თავიდან უნდა მოგვათავსოს ჩვენ სიკვდილის ადგილას. სანამ სხვები შეძლებენ სიცოცხლის მიღებას – იოანე 2:19; 12:24; 1 კორ. 15:36.
- გ. ვინაიდან მოციქულ მიჰქონდა სიცოცხლე სხვებისთვის იმის მეშვეობით, რომ კვდებოდა, მას შეეძლო დაემოწმებინა, ეთქვა: ასე რომ სიკვდილი მოქმედებს ჩვენში, ხოლო სიცოცხლე – თქვენში“ – 2 კორ. 4:12:
 1. მოციქულების სამუშაო არის სამუშაო, რომლის დროსაც სიკვდილი მოქმედებს მათში, რათა სიცოცხლემ იმოქმედოს მორწმუნეებში – მუხ. 10-12.
 2. შედეგი, ჯამი, სიკვდილის მოქმედებისა ჩვენში არის შესანიშნავი – ეს არის სიცოცხლე სხვებში – მუხ. 12.
 3. ნამდვილი სამუშაო ახალი აღთქმისეული მსახურებისა არის არა ის, რომ განხორციელდეს სამუშაო, არამედ ის, რომ მოვკვდეთ – მუხ. 1; 3:8-9; 5:18.

4. უფლის აღდგენაში ჩვენ უნდა მოვკვდეთ, რათა სიცოცხლემ იმუშაოს სხვებში: აქედან გამომდინარე, როდესაც ჩვენ ვკვდებით, ჩვენ ვმუშაობთ – 4:12.
5. „უფალს არ სჭირდება, რომ თქვენ განახორციელოთ მისთვის რაიმე სამუშაო. მას სჭირდება, რომ თქვენ მოკვდეთ. თუ თქვენ მოკვდებით, სხვა ადამიანებში იმუშავენ სიცოცხლე. იმის მეშვეობით, რომ მოკვდებით, თქვენ მიუტანთ სხვებს სიცოცხლეს. ამიტომ ჩვენი სამუშაო არის ის, რომ დავექვემდებაროთ მოკვინებას“ – „კორინთელთა მიმართ მეორე წერილის სიცოცხლის შესწავლა“. გვ. 349.

IV. თუმცა ისრაელიანები იყვნენ მოწესრიგებულნი, გაწვრთნილები და კვალიფიციურნი, იორდანეს გადასვლის შემდეგ მათ მაინც დასჭირდათ შემდგომი მომზადება თავდასმის წინ – იესო ნ. 5:1-10:

- ა. მდინარე იორდანეს გადასვლა განკუთვნილი იყო ქანაანში შვიდი ტომის წინააღმდეგ საბრძოლველად – 4:12-13.
- ბ. მდინარე იორდანეს გადასვლისას მომხდარ სასწაულში მონაწილეობამ იესო განამტკიცა, ნება მისცა მას, გაძროლოდა სხვებს ომში დემონური ქანავეელების წინააღმდეგ – 3:6-7, 10; 4:14.
- გ. იეჰოვამ უბრძანა იესოს ისევ წინადაცვითა ისრაელის შვილები, მეორედ – 5:2:
 1. წინადაცვეთის მიზანი იყო ის, რომ გაეხადა ღმერთის ამორჩეული ხალხი ახალ ხალხად ღმერთის მიერ დაპირებული მიწის დასამკვიდრებლად – შდრ. 17:7-12.
 2. ახალი ისრაელის წინადაცვეთა არის წინასახე ქრისტეს წინადაცვეთისა, რომელიც აღსრულდა მისი სიკვდილით და რომლის გამოყენებაც ხდება მორწმუნეების მიმართ ხორცის სხეულის მოშორებით, რათა მათ დაიმკვიდრონ ქრისტე აღდგომაში ღმერთის მიერ მათთვის მიცემული ხვედრის სახით – კოლ. 2:11-12; 1:12.
 3. სულიერი წინადაცვეთა არის გაგრძელება ქრისტეს სიკვდილში დამარხვისა – რომ. 6:3-4:
 - ა) მდინარე იორდანეს გადალახვის წყალობით ძველი ისრაელი იყო დამარხული და გამოჩნდა ახალი ისრაელი; ეს იყო ობიექტური სამუშაო, შესრულებული ღმერთის მიერ.
 - ბ) ისრაელის შვილების წინადაცვეთა იყო ღმერთის მიერ აღსრულებულის პრაქტიკული გამოყენება მდინარე იორდანეს გადავლისას – იესო ნ. 5:2-9.
 4. ახალ აღთქმაში სულიერი წინადაცვეთა წარმოადგენს ქრისტეს სიკვდილის მუდმივ გამოყენებას ჩვენი ხორცის მიმართ – ფილიპ. 3:3; კოლ. 2:11:
 - ა) მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ფაქტი, რომ ჩვენ მონათლული ვართ ქრისტეს სიკვდილში და დამარხული და აღმდგარნი მასში, პრაქტიკულად ჩვენ მაინც ყოველდღიურად უნდა გამოვიყენოთ

სულით ჯვრის წინადაცვეთა ჩვენი ხორცის მიმართ – რომ. 8:13;
გალ. 5:24.

ბ) ასე ჩვენ სინამდვილეში და პრაქტიკულად დავრჩებით ქრისტეს
სიკვდილსა და დამარხვაში.

დ. ისრაელის შვილები განლაგდნენ ბანაკად გალგალაში და აღასრულეს
პასექი იერიქონის ველებზე – იესო ნ. 5:10:

1. პასექის დღესასწაული აღსრულდა იმ მიზნით, რომ გაეხსენებინათ ის,
რომ იეჰოვამ გამოისყიდა ისრაელი სამსჯავროსაგან, რომელიც
გულისხმობდა მათი პირმშობის მოკვდინებას, და რომ იეჰოვამ
გადაარჩინა ისრაელი ეგვიპტისაგან და ფაონის ტირანიისაგან – გამ.
12:3-7, 11-14; 14:13-30.
2. პასექის დაცვა მიუთითებდა იმაზე, რომ ისევე როგორც იეჰოვამ
გადაარჩინა ისრაელი ფარაონისა და ეგვიპტისაგან, ასევე გაანადგურებს
ის ქანაანის ტომებს და დაიხსნის ისრაელს მათგან – იესო ნ. 5:10.
3. ის, რომ ისრაელი იცავდა პასექს, არის წინასახე იმისა, რომ
მორწმუნეები იცავენ უფლის ტრაპეზს, რათა მოიგონონ უფალი როგორც
მათი გამომსყიდველი და მსხენელი – მათე 26:26-28.